CSDC

სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ცენტრი (CSDC)

განვითარების სტრატეგია 2024-2026

CSDC

განვითარების სტრატეგია 2024-2026 წწ.

შესავალი

სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ცენტრი (CSDC) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირია, რომელიც დაფუძნდა 2010 წელს.

მოცემული განვითარების სტრატეგია წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს CSDC-ის ორგანიზაციული და პროგრამული გაძლიერებისთვის საჭირო სტრატეგიულ მიზნებს 2024-2026 წლებში. სტრატეგია დაფუძნებულია ორგანიზაციის მიერ დაგროვილ გამოცდილებაზე, შესაძლებლობებსა და გრძელვადიან ხედვაზე. ის შესაძლებლობას იძლევა CSDC-მ გადადგას რეალისტური, ამბიციური და შედეგზე ორიენტირებული ნაბიჯი სტრატეგიის მიზნის მისაღწევად.

CSDC

შექმნის ისტორია

საქართველოში მოწყვლადი ჯგუფების, ბავშვებისა და ქალების, მხარდასაჭერად ორგანიზაციის შექმნის იდეა გაუჩნდათ ახალგაზრდა ქალებს, რომლებმაც ორგანიზაცია 2010 წლის 4 თებერვალს დაარეგისტრირეს, ხოლო ხელმძღვანელად ნინო თოდუა აირჩიეს.

ახალი შექმნილი ორგანიზაცია მატერიალურ-ტექნკური აღჭურვილობით უზრუნველყო საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭომ (IREX-მა).
ქალების მდგომარეობის გაუმჯობესება დაბავშვთა კეთილდღეობის უზრუნველყოფა დამფუძნებლებმა ადვოკატირებით, საზოგადოებაში ინტეგრირებით, საგანმანათლებლო და მხარდამჭერი სასიცოხლო სერვისებით გადაწყვიტეს.

CSDC

ხედვა

სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ცენტრს (CSDC-ს) სურს ისეთი გარემოს შექმნა, რომელშიც გაძლიერებული ქალები და ბავშვები სრულად შეძლებენ თავიანთი პოტენციალის რეალიზებას და ამით ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას.

დევიზი: CSDC-ის მხარდაჭერა ქალებსა და ბავშვებს.

მისია

ჩვენი მისიაა ქალებისა და ბავშვების გაძლიერება. ჩვენ ვებრძვით უთანასწორობით გამოწვეულ შედეგებს.

ამას ვაკეთებთ ადვოკატირებით, საზოგადოებაში ინტეგრირებით, საგანმანათლებლო და მხარდაჭერი სასიცოხლო სერვისების უზრუნველყოფით, რათა მათ შეძლონ ღირსეული და დამოუკიდებელი ცხოვრება. ჩვენ ვიყენებთ ინოვაციურ მიდგომებს, ვქმნით პროფესიულ და სანდო გარემოს.

CSDC

მიზნები

სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ცენტრის (CSDC-ის) მიზნებია:

- დემოკრატიული საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა;
- ქალთა და გოგონათა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება;
- ბავშვთა უფლებების დაცვა და მათი კეთილდღეობა;
- სერვისების შექმნა და მათზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- ზრუნვის ეროვნული ინსტიტუციების გაძლიერების ხელშეწყობა;
- ოჯახების გაძლიერება.

CSDC

ამოცანები

- დემოკრატიული ღირებულებების დანერგვა საგანმანთლებლო და საინფორმაციო საქმიანობების გზით;
- საქართველოში მცხოვრები 14-დან 29 წლამდე ახალგაზრდების გაძლიერება და მხარდაჭერა არაფორმალური განათლების გზით;
- წინასაარჩევნო და საარჩევნო პროცესების დაკვირვება, მონიტორინგი და შეფასება;
- ადვოკატირებისა და სამოქალაქო მონიტორინგის ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება;
- მშვიდობის მშენებლობის ხელშეწყობა;
- კონფლიქტით დაზარალებული ადამიანების მხარდაჭერა;
- საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდებისა და ქალების ფსიქო-სოციალური და სამართლებრივი მხარდაჭერა;
- საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპულ და სტიგმატურ გამოვლინებებზე რეაგირება;
- მოწყვლადი ჯგუფების საზოგადოებაში ინტეგრირების ხელშეწყობა;
- საერთაშორისო და ლოკალური კონფერენციების, სემინარების, მონოლექციების, სიმპოზიუმების, კულტურულ-შემეცნებითი საღამოების, კონცერტებისა დაგამოფენების მოწყობა;
- გრანტების მოზიდვა და გაცემა;
- ამ სფეროში მომუშავე ორგანიზაციებთან კავშირების დამყარება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ;

- პრესკონფერენციების, კონსულტაციების, სატელევიზიო გადაცემების, საქველმოქმედო და სხვა ტიპის ღონისძიებების მოწყობა;
- სხვადასხვა მიმართულებით საზოგადოებრივი საკონსულტაციო და სერვისცენტრების შექმნა;
- ახალგაზრდების გაცვლითი სასწავლო პროგრამების განხორციელება;
- საერთაშორისო და ადგილობრივი ბანაკების, პროგრამების, თამაშების ორგანიზება და მოწყობა;
- პრევენციული საქმიანობის განხორციელება;
- თემის განვითარებაზე ორიენტირებული პროგრამების განხორციელება;
- კვლევითი და საგამომცემლო საქმიანობების განხორციელება;
- პუბლიკაციების, ბროშურების, გაზეთების და სხვა ბეჭდვითი რესურსების შექმნა და ბეჭდვა;
- სოციალური საწარმოს შექმნა და ფუნქციონირება;
- მოწყვლადი ქალებისა და ბავშვების, მათ შორის მიუსაფარი და სხვადასხვა რისკის ჯგუფში მყოფი ბავშვებისა და ქალების, ფსიქო-სოციალური და საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა;
- კომპიუტერული ტექნოლოგიების დანერგვა და განვითარება.

გრძელვადიანი ხედვა

სასურველი სურათი 2033 წლისთვის:
CSDC წარმოადგენს ორგანიზაციას, რომელიც დაფუძნებულია წევრობაზე. მას ჰყავს აქტიური, ორგანიზაციის საქმიანობის შესაბამისი, ექსპერტული გამოცდილების მქონე, წევრები. ისინი აქტიურად მონაწილეობენ ორგანიზაციის პროგრამულ განვითარება-გაძლიერებაში. CSDC-ის მმართველი ორგანო (გამგეობა) შედგება ორგანიზაციის დირექტორისგან, დამფუძნებელ-კონსულტანტისა და 6 მიმართულების კოორდინატორისგან. ეს მიმართულებებია:

1. სერვისცენტრების მართვა.
2. ქალთა უფლებები და ქალთა ინტეგრაცია;
3. ოჯახის გაძლიერება და რეპროდუქციული კულტურა.
4. კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრებ ადამიანებთან მუშაობა.
5. კიბერუსაფრთხოება და მედიაწიგნიერება.
6. საკონსულტაციო სერვისი სკოლებისთვის.

CSDC-ის აქვს ორი სერვისცენტრი თბილისსა და ბათუმში, სადაც მრავალი მიმართულებით მუშაობს ქალებისა და ბავშვების გაძლიერების პროგრამები.

ცენტრები ახორციელებენ როგორც ვაუჩერულ, ისე ფასიან პროგრამებს. ასევე CSDC ქმნის ორიგინალურ და ინოვაციურ მეთოდებს, პროგრამებსა და სერვისებს, რომლებიც მას სხვა მსგავსი ცენტრებისგან გამოარჩევს.

შედეგად CSDC არის ორგანიზაცია, რომელიც ემსახურება ქალებსა და ბავშვებს, ჰყავს პროფესიონალი თანამშრომლები, გააჩნია საზოგადოებაში მაღალი სანდოობა, მხარდაჭერა და ფუნქციონირებს საზოგადოებრივი შემოწირულობებით.

სტრუქტურა

CSDC-ის სტრუქტურა და მისი საქმიანობის მიმართულებები:



CSDC

სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ცენტრი (CSDC)

ეს დოკუმენტი მომზადდა კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრის (CTC) მხარდაჭერით, ევროკავშირისა (EU) და კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) მიერ დაფინანსებული პროექტის "სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა: მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის" ფარგლებში. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ცენტრი (CSDC).

www.csdc.ge
info@csdc.ge